შემოსვლის თარიღი: 03/05/2022 წ

გასვლის თარიღი: 15/06/2022 წ

დასკვნა

ქ. ბათუმში, იმედაშვილის ჩიხი №4-ში თანასაკუთრებაში არსებულ 735 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.28.09.006) მდებარე საცხოვრებელი ბარაკული ტიპის შენობების ვიზუალური დათვალიერებით მათი ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. დაზიანებათა კლასიფიკაციის მიხედვით ფიქსირდება II - III ხარისხის დაზიანებები, რის გამოც საექსპლუატაციო ვარგისიანობით II კატეგორიას განეკუთვნება. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: შენობები კონსტრუქციული ელემენტების სახეობიდან გამომდინარე მიეკუთვნებიან კაპიტალურობის III ჯგუფს და მათი ექსპლუატაციის ვადა შეადგენს 80 წელს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფაქტიურად იგი ამოწურულია, რადგან ხნოვანება აღემატება 90 წელს. ფაქტობრივად შენობათა ექსპლუატაციის ვადა გასულია. ამასთან ერთად მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს განცდილი აქვთ მაღალი ფიზიკური და ასაკობრივი ცვეთა, მისი აღდგენა-გამაგრება გაუმართლებლად მიგვაჩნია და გარკვეული საფრთხის შემცველობის გამო, შემდგომი ექსპლუატაცია მიზანშეწონილი არ არის.

დაწვრილებით განმარტებები გაკეთებულია დასკვნის კვლევით ნაწილში.